პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975 ხუთშაბათი 21 აგვისტო № 195 (16321) ფასი 2 კაპ.

1975

KOMUNISTI— ORGAN CK KP GRUZII, VERKHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

ვალდებულება შესრულებულია

1.200 კუბური მანეთი — ასეთია თბილისის კომოლმაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ რაციონალიზატორთა წელიწადი ხუთწლედის ფონდში. ეს ორასი ათასით მეტია, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში თავი გამოიჩინეს მთავარი მექანიკოსის განყოფილების. ხაჭსოვი წარმოებისა და სხვა კოლექტივებმა. მაგალითად, მიმდინარე წლის მარტო ექვს თვეში მთავარი მექანიკოსის განყოფილების ნოვატორებმა წარმოებაში 26 წინადადება დანერგეს, რომელთა ეკონომიური ეფექტი ოცი ათასი მანეთია.

საინტერესო იყო შ. ჭოხონელიძის, უ. ნიკობაძის, ი. კუპრაშვილისა და გ. მირიანაშვილის წინადადება, რომელიც ეხება სათელი მანქანის მოდერნიზაციას.

(საქინფორმი).

დამკვიდრებული ტრადიციები

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ელექტროშაუბის ქარხნის პროდუქციის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ხაზღვარგარეთაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს. წელს საწარმო დიდი გამოცდის წინაშეა. მისმა კოლექტივმა უნდა დაძლიოს პირველ კვარტალში დაშვებული დიდი გაჭიანურება და წლიური დავალება და მთლიანად ხუთწლიანი გეგმა პირნათლად უნდა შეასრულოს.

— ასეთი ვალდებულება აქვს ნაკისრი ჩვენს კოლექტივს, თქვა ჩვენთან საუბარში ქარხნის დირექტორმა ბ. ბიბილეიშვილმა, — და ვცდილობთ სიტყვა არ გავტეხოთ. მეორე კვარტალში ეფექტიანობის უკეთესი ორგანიზაციით, საწარმოო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებით დავალება გადაჭარბებით შევასრულეთ, დავალების ვადამეტებით გამოგუშვით 50 ათასი მანეთის პროდუქცია და მოვახდინეთ 72 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაცია.

ხალხის იდეური დამრიგებლები

ბარბიის XXV ყრილობისათვის მზადების დღეებში ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, ყველგან, სადაც შრომითი კოლექტივებია, კიდევ უფრო შთამაგონებლად გაისმის ჩვენი მოწინავე აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების, მომხსენებლებისა და ლექტორების, ჩვენი პროპაგანდისტების მართალი სიტყვა. მათ სამართლიანად ეწოდებათ ხალხის იდეური დამრიგებლები.

თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საბრძოლო ამოცანათა შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნა პოლიტიკურად მახვილ საუბარზე, პოლიტინფორმაციაზე, საჯარო ლექციაზე. ჩვენი იდეოლოგიური კადრები, რომლებიც ეწევიან ცოდნის აქტიურ პროპაგანდას, განმარტავენ პარტიის პოლიტიკას. ავითარებენ და ნერგავენ კომუნისტურ რწმენას, ამით მათ უაღრესად თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, ხუთწლედის წარმატებით დამთავრების საქმეში.

თბილისის ელექტროსაიზოლაციო ქარხნის პარტბიუროს (მდივანი მ. ვაშაკიძე) შეცადინეობით იდეოლოგიურმა კადრებმა თვითეულ მუშამდე დაიყვანეს საწარმოო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, მათ მიიშვალნენ პირადი გეგმების შემოშავებაში და ყოველმხრივ ეხმარებიან მათს შესრულებაში. აქ პირად გეგმებს 198 მუშა გადაჭარბებით ასრულებს, ხოლო 81 მათგანი, ახლა მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

გორის ბამბიულის ქსოვილების კომბინატში (პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. დალაქიშვილი) ამჟამად საუბრები, მოზხენებები და ლექციები ეძღვნება ჩვენი საზოგადოების ეკონომიური და სოციალური განვითარების ძირეულ საკითხებს. ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო სიტყვაში დასმული დიბლიებისა და დასკვნების განმარტებას. განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფის წევრები გ. შარიქაძე. ი. ადუაშვილი, თ. ოსიკაშვილი. გ. სტეფნაძე და შ. ხმალაძე. პარტიული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო მოწინავე კამოცდილების საღამო თემაზე „ეკონომია ყველგან და ყველაფერში“ ამ თემაზე ახალგაზრდების მოუთხრიეს ვეტერანმა მქსოველებმა ე. პოდდუბნოვამ, დ. ხაჩიძემ. კომუნისტური შრომის დამკვრელებმა ნ. ბარიშვილმა, თ. დაღელაშვილმა. საამქროებში გაჩნდა თვალსაჩინოება — პლაკატები: „ერთი წოთის ეკონომია სართავ საამქროში უდრის 17 კილოვატს ნართს“. „ნედლეულის ერთი პროცენტით ეანერგვა ჩვენს ფაბრიკას ფლში აძლევს საახლოესით 100 მანეთის ეკონომიას“.

შრომითს კოლექტივებში. მოსახლეობაში ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანებს წარმატებით განმარტავს პოლიტიკურ მომხსენებელთა ჯგუფი. რომელსაც თვით პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. მეზარიშვილი ხიომძღვანელობს.

მართალ შემტევ სიტყვას თვალსაჩინო შედეგი მოსდევს მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში. ამ დროებით საჭირო პარტიულ საქმეში ენერგიულად მონაწილეობენ ისტორიკოსები და ფილოსოფოსები ეკონომისტები. ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ოა სხვა სპეციალისტები. ეს მუშაობა ჩვენი კომუნისტური პროპაგანდის. ლექციური პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს მოწოდებად არის მიჩნეული. ჩვენს აგიტატორებს. პოლიტინფორმატორებს. პოლიტიკურ მომხსენებლებს მუდამ უნდა ახსოვდეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის ერთ-ერთი მოთხოვნა იმის შესახებ. რომ ჩვენი წარმატებების შესაბამისად ამაღლდეს ვიდრე ნაკლოვანებანი. გამოვიყენოთ მიზეზების „ბანსაზღვრა“

იმისათვის რომ იდეოლოგიური კადრები ჩვენი სპეციალისტები საზოგადოების აქტიური მშენებლები იყვნენ აუცილებელია ყოველდღიურად ისწავლონ. ღრმად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

„საბჭოთა სპეციალისტი დღეს, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად დაეუფლა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლებს. ნათლად ხედავს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს: აქვს ფართო მეცნიერული და პოლიტიკური მომზადება, ზედმიწევნით ფლობს თავის სპეციალობას... ერთი სიტყვით. ეს არის ახალი. სოციალისტური საზოგადოების ნამდვილი ინტელიგენტი“.

სიტყვიერი პროპაგანდის ეფექტიანობისათვის გაწეულ მუშაობაში, სამწუხაროდ, ზოგან შეიმჩნევა სერიოზული ხარვეზები, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ფორმალიზმი, ლექციების რაოდენობრივი ზრდის გამოდენება ხარისხის საზიანოდ. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო აამაღლონ პროპაგანდის, მათ შორის ლექციური პროპაგანდის მეცნიერულ-თეორიული დონე, სრულყონ ლექტორისა თუ პროპაგანდისტის გამოსვლის ოსტატობა, აღმოფხვრან ერთფეროვნება. ლექციისა და პროპაგანდის სხვა საშუალებათა ცხოვრებისაგან მოწყვეტა. ამ მიმართულებით უფრო მეტი მუშაობა მოუწევთ ჩვენი პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს. მათს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორ-მომხსენებლებს.

მთავარი ის არის, რომ პოლიტიკური სიტყვის ძალა და ლექციური პროპაგანდის საქმე სრულვყოთ იმ მეთოდებათა მიხედვით, რომლებიც მოცემულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში; „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით“.

სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც აგიტატორებს, პოლიტინფორმატორებს, პროპაგანდისტებს, ლექტორ-მომხსენებლებს უზრუნველყოფენ საცნობარო მასალებით. თვალსაჩინო მიღწევათა ცნობებითა და დიაგრამებით. ამჟამად ქ. თბილისის იდეოლოგიური კადრები თავიანთ მუშაობაში იყენებენ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მიერ გეგმის გადამეტებით გამოშვებული პროდუქციის ოდენობის ამსახველ დიაგრამას, შრომით კოლექტივებს მოუთხრობენ ვამოუყენებელი რეზერვებზე, ამხილებენ ნაკლოვანებებს, ავრცელებენ მოწინავეთა გამოცდილებას. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ლექტორები, მომხსენებლები, პროპაგანდისტები უზრუნველყონ ისეთი მასალებით. რომელთა გამოყენება იდეოლოგიური კადრების მთელ მუშაობას მჭიდროდ დაუკავშირებს პრაქტიკასთან.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა ის არის, რომ დროულად და ოპერატიულად გამოეხმაურონ დიდმნიშვნელოვან ამბებს. გააუმჯობესონ საინფორმაციო მუშაობა, ღრმად განმარტონ პარტიის პოლიტიკა, დაეუფლონ და სრულყონ მასების პოლიტიკური განათლების ხელოვნება, რომლის ცენტრში მუდამ უნდა იდგეს კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, სიტყვიერი პროპაგანდის ეფექტურობის შემდგომი ამაღლების საკითხები.

იწყება ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში. ამ მოვლენის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი თემა იქნება იდეოლოგიური კადრების მუშაობის შემდგომი სრულყოფა. ცხოვრებასთან მისი ურთიერთობის განმტკიცება. პარტიულმა ორგანიზაციებმა გულმოდგინე ანალიზი უნდა გაუკეთონ იმას, თუ როგორ სრულდება იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებები, კონკრეტულად რა კეთდება იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის.

მხოლოდ სიტყვიერი პროპაგანდის ეფექტიანობით ჩამოვუყალიბებთ მშრომელებს ყოვლისმძლე მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას და დიადი კომუნისტური მორალის პრინციპებისადმი ერთგულებას.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს:

მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება — გეგმის გადამეტებით!

მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით

გავიდა მიმდინარე დამამთავრებელი წლის 233 დღე, დარჩა — 132 დღე

ყოველი დღე, ყოველი საათი გამოვიყენოთ რაციონალურად, ვიბრძოლოთ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, განვამტკიცოთ დისციპლინა და ორგანიზებულობა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში!

მეტი პროდუქცია — ნაკლები დანახარჯებით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). გადამწყვეტ ფაზაში შევიდა დედაქალაქის უხუცესი საწარმოს — ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოები, და, ბუნებრივია, საწარმოო ფართობი საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ელექტროვაგონშემკეთებლები შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას.

წლის განვლილ შვიდ თვეში საწარმოს კოლექტივმა შრომადელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,5 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება და გამოუშვა 120 ათასი მანეთით მეტი სეერთო პროდუქცია. 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში გამოშვებულია 90 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი.

ახლა თბილისელ მექანიკოთა მაგალითისამებრ შრომობს საწარმოს ბევრი მუშა. ფართოდება შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. წლეულს ელექტროვაგონშემკეთებლები დაკალების გადამეტებით 180 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას კისრულობენ.

რ. ველიძე.

ხორცი, რძე გეგმის გადამეტებით

პარტიის ასპინძის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონმა 10 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება. სახელმწიფოს მიეყიდა 36.635 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 36.150 ცენტნერისა, 96.133 ცენტნერი რძე ნაცვლად 86.420 ცენტნერისა.

სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.202 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 1.490 ათასი ცალისა.

პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე დამატებით მიჰყიდონ სახელმწიფოს 6.500 ცენტნერ-ხორცი, 5.500 ცენტნერი რძე, 100 ათასი ცალი კვერცხი.

ონის რაიონის მეცხოველეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 25.768 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 25.750 ცენტნერისა. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. ეს „კომშენისტის“ რედაქციას აცნობა პარტიის ონის რაკომის პირველმა მდივანმა ო. დოლიძემ.

მეცხოველეობას — მთელი გულისყური

პირუტყვს — უხვი საკვები

აბაშა. (სკკ. კორ.). პირუტყვისათვის გარანტირებული და უფუანი საკვები ბაზის შექმნა აბაშის რაიონის მშრომელთა უურადღების მთავარი საგანია. ეს განპირობა იმანაც, რომ აქ შეიქმნა სამეურნეთათაშორისო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ინტენსიური სუქებას კომბინატი. რომელიც დიდ როლს შეასრულებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას საქმეში. აბაშელებმა გაზაფხულზე ერთწლიანი ბალახები 2.569 ჰექტარზე დათესეს, მრავალწლიანი საკვები მცენარეები — 171 ჰექტარზე, აშენეს სასენაჟე ნაგებობანი, შეაკეთეს სასილოსე კოშკები.

პარტიის რაიკომის ბიურომ სპეციალური სხდომა მოეძღვნა. საკვების წარმოება-დამზადების გადიდებისა და შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის გარდამავალი დროშების მინიჭებისა და მატერიალური წახალისების ღონისძიებებს. საკვების მოპოვებაში გამარჯვებულ მეურნეობას გარდამავალი დროშა გადაეცემა. მოწინავე მშრომელთათვის დაწესდა 20 ვიმპელი, ხოლო 100 მოწინავისათვის — ფასიანი საჩუქრები.

აბაშელება სერიოზული ამოცანის წინაშე დგანან. მათ წელს უნდა დაამზადონ 30.000 ტონა სილოსი, გეგმით კი 12.720 ტონის დამზადება იყო გათვალისწინებული, მოიმარაგებენ 3.000 ტონა თივას, 12.000 ტონა ჩალას, 3.000 ტონა სენაჟს, 1.010 ტონა საკვებ ბალიეულს.

ბ. მილიუტინი.

ქოლმეურნეთა დინასტია

კოლმეურნეობა მათი ოჯახია

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 12 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი „ვაშაყმაძეთა მეშვიდე დინასტია — შვიდნი ერთი ოჯახი დან“.

მკითხველები მას ფართოდ გაეთხმაურნენ. დღეს გვეგზავნა წერილს ზითელწყაროს რაიონიდან კოლმეურნეთა ერთი ოჯახის. იმ დიდ ოჯახზე, რომელიც მას შეაქებს ხუთწლედის დაჯილდოებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით განაღდებისათვის, პარტიის XXV ყრილობის შესახვედრად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

იმ სოფელში, იმ ქუჩაზე ბევრი ლამაზი, ორსართულიანი სახლია, გაწყობილი ალაყაფის კარით, ხეხილნარით დამშვენებული ეზოებით. მათ შორის პეტრე ყოჩიაშვილის სახლი არავის ჩამოუვარდება. ოცნებაშიც არ მოსვლიათ პეტრეს წინაპრებს, რომ ოდესმე ასეთი სახლ-კარი ექნებოდათ. და განა მარტო პეტრე? მისი ვაჟიშვილები კარგად ცხოვრობენ. სწორედ ეს ახარებს ბერიკაცს.

კოლმეურნეობა ჩვენი ოჯახია, ხშირად იტყვის ხოლმე პეტრე. მართლაც რომ ასეა. მისი ოჯახი დიდი ზტოა კოლმეურნეობისა. ერთი თაობა მეორეს, ხცვლის, მეორე — მესამეს, გზა კი სულ ერთი აქვთ — მამა-პაპისგან დაკვალული...

ბალე პეტრე მეოთხე თაობას მოესწრება, უსაზღვროა მისი სიხარული.

მთლიანი კოლექტივიზაცია რომ განხორციელდა, პეტრე ყოჩიაშვილი დასრულებული ჭაბუკი იყო. მის ავლა-დიდებას ხერხი და ხელეწო, ცული და ჩაქუჩი შეადგენდა. ეს შეიტანა კოლმეურნეობაში. მაშინ ხურო, დურგალი სანატრელი იყო სოფელში. ერთ წუთს არ ჰქონდა მოსვენება. საკოლმეურნეო ფერმებს, ხაწყობებსა თუ ხაცხოვრებელ სახლებს სოფელში ჯერაც მისი ხელი ატყვია. როცა მოხუცდა, თვალი და მაჯა ისე ალარ უმრიდა, მეცხოველეობას მიაშურა. პენსიაზე იქიდან გავიდა. ახლახან 86 წელს გადაბიჯა, მაგრამ მოსავლის აღებისას, თივის თიბვისას ახალგაზრდებს უმშვენებს ხოლმე მხარს.

პეტრეს პირველად უფროსი ვაჟიშვილი ზურაბი ამოუდგა მხარში. კარგა ხანს ტრაქტორისტ-კომბაინერად იმუშავა კოლმეურნეობაში, შემდეგ კი მამის კვალს გაჰყვა — მეძროხეობის ფერმაში მოწარდი პირუტყვის მოვლა იკისრა. სამოცი წელი უსრულდება ზურაბს, მაგრამ, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, ჯერ სიბერე შორს არის. კოლმეურნეობაში აქტიურად მუშაობენ მისი მეუღლე — ქეთევანი, ქალიშვილი მანანა.

მეორე ვაჟიშვილი მიხეილი ავტომძღოლია. თავს დასტრიალებს კოლმეურნეობის ველ-მინდვრებს, ფერმებსა თუ ვენახებს, სადაც გაუჭირდებათ, ის იქ არის. მის ოჯახში უშრომელ ლუკმას არავინა სჭამს. მიხეილის მეუღლე თინათინი რიგითი კოლმეურნეა, მინდორში, ვენახში მუშაობს. პეტრეს ვაჟიშვილი ელიზბარი ახლახან დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან. კომკავშირშიც იქ შეავიდა, ხელობაც იქ ისწავლა. მარჯვე ხარატი და კარგი დაზგაც ჩაბარეს.

პეტრეს შვილი რაოდენი კი თავისი სოფლის, თავისი კოლმეურნეობის ინტერესებით ცოცხლობს და ცხოვრობს. მეუღლე ზნაიდა სოფლის მახწავლებელია, უფროსი ვაჟიშვილი გივი — ინჟინერ-მექანიკოსი. სამი კომუნისტია ამ ოჯახში და სამივეს გარკვეული წვლილი მიუძღვის სოფლის, კოლმეურნეობის აღორძინებაში.

გამართული კაცია, იტყვიან ხოლმე ჩითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში პეტრე ყოჩიაშვილზე და მართლაც რომ ასეა. ალალი შრომით ალალი ლუკმა იმეტება მის ოჯახში და სიტკბოც ამასა აქვს!

ამ მშრომელი ოჯახის სახელზე შარშან კოლმეურნეობაში 8.450 მანეთი გამოიწერა, წლეულს უფრო მეტი იქნება.

მარაქალა შენ და შენს ოჯახს, პეტრე ყოჩიაშვილო!

ვლ. მეჰედლიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: პეტრე ყოჩიაშვილის ოჯახი.

ნ. ჟურციკიშვილის ფოტო.

მცენარეთა დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობა

19 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მცენარეთა დაცვის VIII საერთაშორისო კონგრესის მოწყობას. საბჭოთა და ოცდაოერი ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა ამ ფორუმის მოწყობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ა. ჩუდრაევი, რომელმაც აღნიშნა. რომ კონგრესზე აზრთა ყოველმხრივი გაზიარება საშუალებას მისცემს მეცნიერებსა და სპეციალისტებს გაეერთიანონ თავიანთი ძალები მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობათაგან მოსავლის დაცვის დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადასაწყვეტად. (საკდესი).

ოფიციალური ვიზიტით

19 აგვისტოს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ნეპალის საგარეო საქმეთა მინისტრი კრიშნა რაჯ არიალი.

ნეპალისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ შერემეტიევოს აეროდრომზე სტუმარს დასვლნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. მ. პიაგოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამსვდურთა შორის იყო ნეპალის ელჩი სსრ კავშირში ჯაგეიშ შამშერ ჯანგ ბაჰადურ რანა. (საკდესი).

ცოდნის ნ ტ ო ვ ი

„ყირგიზეთის“ საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველ ტომის შედგენა დაამთავრეს რესპუბლიკის მეცნიერებმა. მის ექვს წიგნში იქნება 35 ათასი სიტყვა-ტერმინი. გარდა ამისა, მზადდება სპეციალური ტომი — „ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, რომელიც მოლიანად ეძღვნება ყირგიზეთის დღეანდელ მიღწევებს. (საკდესი).

ფრუნზე.

მ ს ო ფ ლ ი ო თ ე ვ ზ ჭ ე რ ი ს დათვალიერება

ლენინგრადი, 20 აგვისტო. (საკდესის კორ.). „ინრიბპრომ-75“ საერთაშორისო გამოფენის ალამი დღეს დაეშვება ლენინგრადის ნავსაყუდელში, სადაც ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მსოფლიო თევზჭერის ტრადიციული დათვალიერება. ექსპოზიციის მონაწილე ოცდაორმა ქვეყანამ აჩვენა აქ თავისი მიღწევები თევზჭერისა და გადამუშავების თანამედროვე საშუალებების დარგში.

გამოფენაში მონაწილეობდა საზღვარგარეთის სამასზე მეტი ფირმა, კომპანია და ორგანიზაცია, გაბმართა სსრ კავშირის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცის, პორტუგალიისა და საფრანგეთის ეროვნული დღეები.

საზღვარგარეთის ფირმების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ „ინრიბპრომ-75“-მა დასახა ახალი კონტაქტების დამყარების, ხელსაყრელი გარიგებების დადების, გამოცდილების გაზიარების ფართო სარბიელი. საბჭოთა საგარეო-საგაჭრო ორგანიზაციებთან საგაჭრო კონტრაქტები დადეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, შვეიცის, იაპონიის ფირმებმა.

სკკპ XXV ყრილობის შესახებ

პასუხისმგებლობის ამაღლების ნიშნით

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის მშრომელები ეთუნუნიზთან ერთად სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა, სამშენებლო და სავაჭრო ორგანიზაციათა, მოსახურების სფეროს კოლექტივები ეძებენ ახალ რეზერვებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო ხანს გამართული პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწავლობენ ეკონომიკას, დეტალურად მუშავდებენ ამა თუ იმ ღონისძიებას, ითვალისწინებენ წარმოების მკვეთრი გადიდების ფაქტორებს, მოქნილად უხმაურებენ პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის საერთო პრინციპებს აღვილობრივ პირობებს და თავისებურებებს.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ახალი მიდგომა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტისადმი პირველ რიგში იმან განაპირობა, რომ ქალაქის მოქმედი საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეტად ჩამორჩენილი იყო და ისინი მეცხრე ხუთწლედის დასაწყისში უშვებდნენ მხოლოდ 26 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას. ამიტომ უკვე მიმდინარე ხუთწლედის დასაწყისიდან შრომითმა კოლექტივებმა შეიმუშავეს და განსაზღვრეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მთავარი მიმართულებანი, პირველ რიგში ყურადღება დოთმეს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამას, წარმოებისა და მეცნიერების დაახლოებას, წარმოების სტრუქტურის სრულყოფას.

უკვლებლივ ყველა საწარმოში კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში წარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის გაწეულ ლაშქრობას. შედეგ გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც საფუძვლად დაედო მთელ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმოების უშუალო მართვაში მიიზიდეს მშრომელთა სულ უფრო ფართო ფენები, გავრცელდა სამეუნრნეო საქმიანობის ხელმძღვანელობის მასობრივი ფორმების საუკეთესო გამოცდილება, მოგვარდა ეკონომიკური დანახარჯებით რეკონსტრუქციის გზით. ეს გამოცდილება ფართოდ გავრცელდა ქალაქის საწარმოებში. პარტიის საქალაქო კომიტეტთან, სამრეწველო, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან შეიქმნა შტაბები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ამ მნიშვნელოვანი გამოცდილების დანერგვის საქმეში. და შედეგმაც არ დაყოვნა, მცირე დროში მოქმედი სიმძლავრეთა გასაფართოებლად დაიხარჯა 3.654 ათასი მანეთი, როცა საერთო პროდუქციის ზამოშვების მოცულობა 22.412 ათასი მანეთით გაიზარდა, ე. ი. 1970 წლის დონეს 86 პროცენტით გადააჭარბა. და ყოველივე ეს მოხდა საწარმოო პერსონალის მხოლოდ 7 პროცენტით გადიდების მეოხებით. ამით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ არა მარტო დაეძლიეთ მიმდინარე ხუთწლედში დაშვებული სერიოზული ჩამორჩენა, არამედ გავუსწარით საკონტროლო ციფრებს 4.845 ათასი მანეთით. აღსანიშნავია, რომ საერთო პროდუქციის მოცულობის ზრდა ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. შესაბამისად იმატა მშრომელთა ანაზღაურებამაც, ხუთწლედის განვლილ პირველივე მუშაობა საშუალო ხელფასი 16 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის მუშაკებს არც ტრანსპორტელები და კავშირგაბმულობის მუშაკები ჩამორჩნენ. ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ეფექტური ღონისძიებების განხორციელების მეოხებით ხუთწლედის განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გადაყვანილია 250 ათასი მგზავრი და გადატანილია 360 ათასი ტონა ზეგეგმით ტვირთი. 73 პროცენტით გაიზარდა რაიონგზის საგზაურის ტვირთბრუნვა. სამხრეთ ოსეთის საავტომობილო სამმართველომ პირველად თავის არსებობის ისტორიაში მარშან შესრულა საცხოვრებელი ბინების გადაცემის წლიური გეგმა, ხოლო წლევანდელი ნახევარი წლის დავალების გადამეტებით მოსახლეობას გადაეცა 4.189 კვადრატული მეტრი ზეგეგმითი საცხოვრებელი ფართობი.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვებს რომ ეძებენ და პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას რომ ახორციელებენ, პარტიის საქალაქო კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ზეგანაგრძობა უფრო ფართოდ გაავრცელონ ეფექტიანობის ამაღლების საწარმოებში. ამ ბრძოლაში ეფექტიანობა ეფექტიანობა, ეფექტიანობა — ეს ერთ-ერთ ძირითადი ლოზუნგად ქცეულ ეს ლოზუნგი

მსოფლიო დღეს

—20 აგვისტო—

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

თურქეთის პრეზიდენტის განცხადება

ანკარა. (საკდესი). თურქეთის პრეზიდენტმა ფაჰრი კორუთურქმა ქალაქ ჰოფის (ქვეყნის ჩრდილოდასავლეთი ნაწილი) მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირ-თურქეთის თანამშრომლობა. რომელიც წარმატებით ვითარდება. პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ თურქეთის ურთიერთობა ჩრდილოეულ მეზობელთან განვითარდება.

ფ. კორუთურქმა საგანგებოდ აღნიშნა, თუ რა დიდი ხნოვნებელობა აქვს თურქეთისათვის საბჭოთა კავშირთან მშარდ ეკონომიურ ურთიერთობას.

„სიპრას" საარგენტოს სკანდალი

რომი. საკდესის კორესპონდენტი ვ. მალიშევი ეტყობრნება: იტალიაში მოხდა ახალი საფინანსო-პოლიტიკური სკანდალი. აშკარად იგი დაკავშირებულია რეკლამის გამავრცელებელი სახელმწიფო საგენტოს — „სიპრას" საქმიანობასთან, რომელიც კონტროლს უწევს ქვეყნის მშლავი სარეკლამო ინდუსტრიის 40 პროცენტზე მეტს. „სიპრას" ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ისარგებლეს სარეკლამო განცხადებებისათვის სატელევიზიო დროის გაყიდვის თავიანთი მონოპოლიური უფლებებთ, ფირმებს მოსთხოვეს ტელევიზიით მათი საქონლის რეკლამირების ნებართვის სანაცვლოდ მთელი თავიანთი დანარჩენი სარეკლამო განცხადებანი მხოლოდ მემარჯვენე გაზეთებსა და ჟურნალებში გამოექვეყნებინათ.

ამგვარი ტაქტიკის წყალობით საგაზეთოს ხელმძღვანელებმა შეძლეს, მაგალითად, უზრუნველეყოთ რეაქციული გამომცემლის რუსკონის გაზეთები 45 მილიარდი ლირის სარეკლამო განცხადებებით.

მეორე მხრივ, სატელევიზიო სარეკლამო დროის განაწილებისას „სიპრა" სულ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა იტალიაში მოქმედ უცხოეთის მონოპოლიებს. ამის შედეგად, წერს გაზეთი „მესაჯერო", იტალიის ტელევიზორების ეკრანებზე ყველაზე ხშირად უჩვენებდნენ ამერიკული, დასავლეთგერმანული, ფრანგული და სხვა უცხოური საქონლის რეკლამას.

სოლიდარობა ჩილელ ხალხთან

ბუენოსაიესი. ჩილეს ფაშისტური სამხედრო ხუნტის უკანონო ხელისუფლებამ მოსპო დემოკრატიის ყველა ფორმა და ქვეყანა ეკონომიურ განრანგებამდე მიიყვანა, ნათქვამია უნგრეთის მწვიდობის საბჭოს დეკლარაციაში. დოკუმენტში, რომელიც გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, გამოთქმულია დიდი შეშფოთება ხუნტის დილეგებში გამომწყვდეული ჩილელი პატრიოტების ბედის გამო.

პარიზი. ჩილეს ფაშისტური ხუნტის ტერორი და მკვლელობანი, რეპრესიები და წამება მხოლოდ გესტაპოს მეთოდებს შეიძლება შეგადაროთ, განაცხადა ფრანგმა იურისტმა ჟანმა მირეი ეკატანგლემანმა, რომელიც ახლახან ჩილეში იყო.

— მე, — თქვა მირეი ეკატან-გლემანმა, — მოვახერხე და ვნახე ჩილეს ზოგიერთი საკონცენტრაციო ბანაკი, ვესაუბრე პოლიტიკურ პატიმრებს. წამების კვალი მათს სხეულებზე თვალსაჩინოდ ცხადყოფს მედიცინეგ პინოჩეტის მუშაობის მეთოდს. მან აგრეთვე ილაპარაკა ჩილელი ჟურნალისტი ჟანის გლადის დიახის ბედზე, რომელიც ხუნტამ დააპატიმრა მიმდინარე წლის დამდეგს. ფრანგმა იურისტმა ნახა ცემით დასახიჩრებული, თითქმის მთლიანად სმენადაკარგული ქალი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ხუნტის დილეგების საშინელებანი.

შირეი ეკატან-გლემანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩილეს საპყრობილეებში ქალების წამებამ საზარელი ფორმა მიიღო.

სან-ხოსე. პინოჩეტის დანაშაულებრივმა ხელისუფლებამ ბოლო ოთხ თვეში ჩილელთა ოჯახი. ნათქვამია ეროვნული განთავისუფლების პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის აქ გავრცელებულ მანიფესტში. დოკუმენტში სასტიკადაა დაგმობილი ჩილელი ხალხის დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის ათასობით მებრძოლის მკვლელობა.

(საკდესი).

სეპარატისტული ამბოხება ჩაიშალა

დელი. (საკდესი). იატაკქვეშა სეპარატისტული მოძრაობის ნაგას 150-მდე მონაწილე ნებაყოფლობით ჩაბარდა ნაგალენდის შტატის ხელისუფლებს. მათ შორის არიან თვითმარქვია „ნაგას ფედერალური მთავრობის" ყოფილი „პრეზიდენტი" ჩუმბემო მური და „გენერალი" ეტსუნემო ლოტა. მათ ხელისუფლებს გადასცეს დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი, უმოავრესად ჩინური წარმოებისა.

ეს პირველი შემთხვევა როდია, რომ სეპარატისტი მეამბოხეები ნებაყოფლობით ნებდებიან ინდოეთის ხელისუფლებს.

ნაგას ტომის სეპარატისტთა ჯგუფები ჩუმად გადადიოდნენ ჩინეთის საზღვარზე, იღებდნენ იქ იარაღს, გადიოდნენ სამხედრო წვრთნას და ინდოეთში ბრუნდებოდნენ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

ნაგალენდის შტატში მდგომარეობა ამ პირიდ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, აღნიშნა პარლამენტში გამოსვლისას ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრაჰმანანდა რედიმ. ნაგას მეამბოხეთა აქტივობა მკვეთრად შემცირდა, და ამედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს თვეებში იქ მდგომარეობა მთლიანად ჩადგება კალაპოტში.

დელი. (საკდესი). აქ გაიმართა საზოგადოებრიობის მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მუჯიბურ რაჰმანის ხსოვნას. მიტინგზე იყვნენ ნაართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის თვალსაჩინო მოღვაწეები, ინდოეთის ცენტრალური პარლამენტის, კომპარტიის წევრები, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი რ. ჩანდრა.

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ მუჯიბურ რაჰმანმა დიდი წვლილი შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ელ მოძრაობაში, მშვიდობის განმტკიცებაში, სამხრეთ აზიის სუბკონტინენტსა და მთლიანად აზიაში მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში, ბანგლადეშელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

მიტინგზე წაიკითხეს სამმაბრის წერილი, რომელიც მიტინგის მონაწილეებს გაუგზავნა პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ. წერილში, კერძოდ, ნათქვამია: გვლის სიღრმეშედ შეგვძრწუნა ბანგლადეშში უკანასკნელი ამბების განვითარებამ, რომლებსაც მოჰყვა პრეზიდენტ შეიხ მუჯიბურ რაჰმანისა და მისი ოჯახის ამოწყვეტა. შეიხი იყო თვალსაჩინო ეროვნული ლიდერი და სახელმწიფო მოღვაწე, მეთაურობდა თავისი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, მისი ოცნება იყო სუბკონტინენტზე მშვიდობა და მეგობრობა. ინდოელი ხალხი, ნათქვამია შემდეგ წერილში, დიდ პატივს სცემდა მას, როგორც ჩვენი ქვეყნის მეგობარსა და სუბკონტინენტზე კეთილი ნებისა და თანაშრომლობის საქმისათვის მებრძოლს. იგი მარად იცოცხლებს ჩვენს ხსოვნაში.

სიძნელეები ვერ აღმოფხვრეს

ეკონომიური სიძნელეების, უმუშევრობისა და ფასების ზოგადების პერიოდი

ბონი, (საკდესი). აქ ფართოდ გამოუხმაურნენ თვალსაჩინო მეცნიერ ეკონომისტთა მემორანდუმს უახლოეს დროში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ, მემორანდუმში მოყვანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევარიც მძიმეობით დასავლეთგერმანელი მშრომელისათვის იქნება მნიშვნელოვანი ეკონომიური სიძნელეების, უმუშევრობის ზრდისა და ფასების მომატების პერიოდი.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ზამთრის თვეებში უმუშევართა რიცხვი 1,2 მილიონს გადააჭარბებს. ეს იქნება უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი დონე. ამავე დროს ეროვნული შემოსავალი 3 პროცენტით შემცირდება, ფასები კი 6 პროცენტით მოიმატებს.

სახელმწიფო ვალი წლის დამლევისათვის 40 მილიარდ მარკამდე გაიზრდება და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 20 პროცენტს გადააჭარბებს.

მემორანდუმის ავტორები გადაჭრით მოითხოვენ „მომჭირნეობის უმკაცრეს ღონისძიებებს".

ცნობა

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრის დარღვევის შესახებ

პრაღა. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გავრცელა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 15 და 17 აგვისტოს ჩეხეთ-კრუშოვიცის რაიონში მოხდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვრის დარღვევა. საზღვარი დაარღვიეს ეერტმფრინავებმა, რომლებსაც საცნობი ნიშნები არ ჰქონიათ. ისინი რამდენიმე კილომეტრით შეეჭრნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ცნობაში აღნიშნულია, რომ ეერტმფრინავებმა ნავები ცდილობდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიიდან წყეყვანთან მოქალაქენი, ხოლო როცა ამ მეკობრულ აქციას ხელი შეუშალეს ჩეხოსლოვაკიის ორგანოების წარმომადგენლებმა, ერთერთი ეერტმფრინავის პილოტმა სროლა ატეხა.

ჩეხოსლოვაკიის ორგანოების წარმომადგენელთა მტკიცე მოქმედების შეორებით პილოტი აძულებული გახდა ცეცხლი შეეწყვიტა და დაეტოვებინა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორია. ჩეხოსლოვაკიის ორგანოებმა ადგილზე დაკავეს ორი კაცი.

ჩეხოსლოვაკიის უშიშროების ორგანოები იძიებენ ამ შემთხვევას. წინასწარი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ეერტმფრინავები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან აფრენილან.

ცნობაში გამოთქმულია დიდი აღშფოთება ამ ბანდიტური აქციის გამო.

აფრთხილებენ რეაქციის ძალებს

ლისაბონი, (საკდესი). ახალთასობით პორტუგალიელმა მშრომელმა მოაწყო დღეს ნახევარსაათიანი საპროტესტო გაფიცვა რეაქციის გამოსვლების წინააღმდეგ, პორტუგალიის რევოლუციისა და მისი დემოკრატიული მონაპოვრების დასაცავად.

პორტუგალიის პროფკავშირთა ფედერაციამ — ინტერსინდიკალის მოწოდებით დილის 11 საათზე ადგილობრივი დროით მუშათა შეწყვეტეს დოკერებმა, მშენებლებმა, ვემთსაშენების მუშებმა, ტრანსპორტის მუშაკებმა, ბევრი სხვა დარგის მშრომელებმა. მომოსვლა შეწყვეტეს მატარებლებმა, ქალაქის ტრანსპორტმა.

გაფიცვა მოეცო ქვეყნის ყველაზე განვითარებულ ინდუსტრიულ ცენტრებს, დედაქალაქს, სამრეწველო სარტყელს. ლისაბონის გარშემო, სეკუბალას რაიონს. მან ჩაიარა კონტრრევოლუციური ხრიკების წინააღმდეგ მშრომელთა რიგების შეკავშირების ნიშნით.

პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა ვასკუ გონსალესმა მოიწონა ინტერსინდიკალის ინიციატივა. „ეს გაფიცვა ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის პოზიციური ნაბიჯია. გაფიცვა, რომელსაც ინტერსინდიკალი აწყობს, — თქვა ვასკუ გონსალვეშმა, — ეს ჩვეულებრივი შრომითი კონფლიქტი კი არ არის, არამედ პატრიოტული აქციაა. იგი მიზნად ისახავს ყველა პორტუგალიელის დარაზმვას 1974 წლის 25 აპრილის შემდეგ მიღწეულ მონაპოვართა დასაცავად".

ლისაბონი, (საკდესი). ნეოფაშისტებმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს ჩრდილოეთ პორტუგალიაში. ისინი თავს დაესხნენ პორტუგალიის კომუნისტური პარტიის შეხობის ქალაქ პონტე-დელიმაში, ცეცხლი წაუკიდეს სახლს, რომელშიც პორტუგალიის კომპარტიის ცენტრი იყო მოთავსებული და გაანადგურეს მისი ქონება. თავდასხმის დროს ერთი კაცი მოკლეს, ასზე მეტი დაიჭრა, ბევრი მათგანი მძიმედ. შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა ვერ გაფანტეს აღვირახსნილი არამზადები და იძულებული გახდნენ გამაფრთხილებელი ცეცხლი გაეხსნათ, მხოლოდ ამის შემდეგ აღადგინეს ქალაქში წესრიგი.

გარბიან „აღთქმული ქვეყნიდან"

რომი, (საკდესი). „აღთქმული ქვეყნიდან" სულ უფრო მეტი ისრაელელი გარბის უკეთესი ცხოვრების საძებნელად. თუ 1973 წელს, ისრაელის ოფიციალური მონაცემებით, ისრაელი დატოვა 13 ათასმა კაცმა, 1974 წელს ეს ციფრი 21 ათასამდე გაიზარდა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩამოსულ ემიგრანტთა რიცხვს გადააჭარბა ისრაელიდან წასულთა რიცხვმა. აღიარეს ქვეყნის ხაიმიგრაციო ხელისუფლებმა. თანაც „ისრაელი სამოთხიდან" გაქცეულთა ნაკადი უწინარეს ყოვლისა ეხრება ახალგაზრდობის ხარჯზე.

ისრაელიდან გაქცევის მთავარი მიზეზია ცხოვრების პირობების გაუარესება, რაც გამოწვეულია ტელ-ავივის მილიტარისტული კურსით. უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, რომლებიც ბიუჯეტის ასიენებათა თითქმის ნახევარს შეადგენენ, ნთქავენ სხვადასხვა სოციალური საჭიროებებისათვის აუცილებელ სახსრებს. მკვეთრად ძვირდება საქონელი, მოსახურება, იზრდება უმუშევართა არმია. მატულობს ისრაელი ახალგაზრდობის უკმაყოფილება ხანგრძლივი სამხედრო სამსახურის გამო.

ტელ-ავივის მეგობრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ისრაელთა სამრთის ძლიერდება გულგატეხილობა და იმედის გაცრუება მმართველი წრეების პოლიტიკის გამო და ოფიციალური პროპაგანდა ამაოდ ცდილობს აამაღლოს მათი მორალური სულისკვეთება.

ბუნება და ადამიანი

საოცარ საოცრებანი

პეტრე ჭაბუკიანი.

ყველნი დიდებული, წარმტაცი და თავალისმომჭრელი ძეგლები შეუქმნია ადამიანის გონებას. მაგრამ ბუნება მაინც დიდოსტატია. იგი ხშირ მართლაც ბევრი ხელოვნებანი ძეგლის შემოქმედია. და ეს ისეული ისეგე მშვენიერი, გულშეჩამწვდომი და დამატყვევებელია, როგორც ლეგენდა, როგორც ზღაპარი. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ზღაპარი-სინამდვილეა სათაფლია.

ქუთაისიდან არც ისე მოშორებით, ჩრდილოეთით, მოჩანს თაკვოჩორა გორა, ციცაბო და ძნელად მისასვლელი. რამდენი პატარა გორაა გარშემო და მარტო ის ერთია ასეთი მოხდენილი და კეკლუცი, თვალს რომ იზიდავს და გულს სიხარულით ავსებს.

მრავალი წლის წინათ მის კალთვან ნაპრალებში ბუდობდა გარეული ფუტკარი და ციცაბო ფერდობებზე ბარობდა ბზის ბუჩქები. სალ კლდეთა შორის, ვით სარწყაპო მუსიკის ხმა, განუწყვეტლივ ისმოდა ბუნების სუნთქვაში გამდნარი დუღუნი. ეს ნაკადულია, მთიდან რომ გადმოკბენს, ოდასკურას სახელით ცნობილი. თითქოს აქეთან მოდის ადამიანის ის უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისადმი, რაც მას ასე მჭიდროდ აკავშირებს ბუნებასთან.

ლამაზია და კოხტა ეს გორა, ცხვნის ფაფარივით შემართული. ტკბილხმოვანია მისი სახელიც — სათაფლია.

ზღვა თუ ოკეანე შფოთავდა აქ, ამ გორის ძირთან, შორეულ წარსულში. ტალღას ტალღაზე აგორებდა და ლამობდა საღი კლდის დაშლას, მის მთანთქმას, ხან კი მშვიდად ხუნთქავდა მის ფერხთქვეშ როგორც უზარმაზარი ზღაპრული ცოცველი. ცის დასალიერთან მორანდა ზღვის სანაპირო, ვით თეთრი სარტყელი, და ყველ სილაზე მოთამაშე დინოზავრების რიცხვმრავალი ჯოგი. მათი ნაკვალევი, ვით ღრმა ჭრილობა, როგორც ბეჭედი საუკუნეთა, დღესაც ამჩნევია სათაფლიის გორას, მის გაქვავებულ მიწას. ეს თითქოს უცნაური ეროტიფაა, რომელის წაკითხვითი მეცნიერები გარდასულ დროთა საიდუმლოების ამოხსნას ცდილობენ.

დრომ წარეშლელად შეინახა დინოზავრების, ამ სამინელი მაჯლაჯუნების ნაკვალევი, რათა 1933 წელს ჩვენი ბუნების ქომაგს და სიყვარულთა მკვლევარს, ვამოჩენილ მხარეთმცოდნეს პეტრე ჭაბუკიანს აღმოეჩინა იგი. ეს ნაკვალევი მოგვითხრობს შორეულ წარსულზე, როცა 120 მილიონი წლის წინათ სათაფლიის გორა კუნძულს წარმოადგენდა, ხოლო იქ, სადაც ახლა ქუთაისია ბაშენებული, ზღვა ბაღლეფს აგორებდა.

ჩრდილოეთის მხრიდან სათაფლიის გორას ჯიქურ მისდგომია პატარა ნაკადული — ოდასკურა. გორის ძირში ნაკადული ღრმა ნაპრალში ჩარდება და მხედველობიდან იკარგება. მოკვეთილ ნაკადულს, ჩვენ იგი მთის გულში შეგვიყვანს.

ვიწრო ბილიკი მიდის წინ. ბნელეთში და თქვენც ჩირაღდნით ხელში მიაკვეთით მას, რათა ეს ზღაპრული ქვეყანა იხილოთ და განიცადოთ.

აიხედეთ მაღლა, დაკვირდით მღვიმის ჭერს — რამელი ფერმწერი მოხატავდა ასეთ ჭერს. და რომელი ხურთომძღვარი შექმნდა ასეთ ჩუქურთმებს, ვისი, ვისი, გრძნეული ხელი მუშაობდა და მოღვაწეობდა აქ!

ასწიეთ მაღლა ჩირაღდანი, უფრო მაღლა! ხედავთ? ეს ხომ ლომია, მსხვერპლზე მოულოდნელი თავდასხმის მოლოდინში გაქვავებული: აბერ ეს ლოდი ლოცვად დავარდნილ ქურუმს მოგვაგონებს. ვინ შეასხა ხორცი ამ გრძნეულ ქმნილებებს, ვისმა ძალიერმა ხელმა და ნებამ აღმართა ეს ულამაზესი ტრიბუნები და კვარცხლბეკები!

აი, თვალშეუდგამ, ვრცელ დარბაზში შედიხართ. რა ამეიათი ხელოვნებით არის იგი შემკული და მოკირწყული! ბროლის სვეტები ჭერიდან ეშვება და დარბაზს ჯადოსნურ სილამაზეს ანიჭებს.

კედლიგან ბილიკს მღვიმის სამხრეთ გასასვლელამდე მიეკავთრთ და დღის სინათლე თვალებს ჭრით. გოლნებში კი ისევ საზღაპრო ქვეყანაში ნახეთ და განცდილი სურათები გეხატებათ.

ძნელია სათაფლიას დავიწყება. ის ეიტაცებთ და გაიელვებთ როგორც ყოველი ეშმაკრიტი შემოქმედი, როგორც ყოველი ნამდვილი ხელოვნება. სათაფლია ბუნების ვანუმეორებელი ხელთუქმნელი ქმნილებაა.

პეტრე ჭაბუკიანმა აღმოაჩინა სათაფლია. იგი გულმოდგინედ იკვლევდა და სწავლობდა ქუთაისის ირგვლივ არსებულ მღვიმეებს, რომ მათში ადამიანის შორეული წინაპრის ყოფა აღმოეჩინა. და სრულიად მოულოდნელად, როგორც ყოველი აღმოჩენის დროს ხდება, წააწყდა იგი სათაფლიას. მის მიერ აღმოჩენილი ძვეიძე ბუნების ნამდვილი ტაძარი იყო. იგი დიდხანს ფიქრობდა იმ საოცებებ ქვეყანაზე, რომელიც ეს-ეს არის ითილა და ბოლოს უბის ბეიგნაში შეკვდგი ჩაწერა: „1925 წელი, 2 აგვისტო. აღმოჩენილია სათაფლიის ატალაქტიტების მღვიძე. სიგრძე —600 მეტრი, სიმაღლე —5-12 მეტრი, სიგანე — 5-20 მეტრამდე".

პეტრე ჭაბუკიანმა თავისი ცოდნა, გამოცდილება, ენერგია და დროა უანგაროდ მოიამარა სათაფლიის დაცვასა და მოწყობას. მისი მეშვეობით სათაფლია ცნობილი შეიქმნა მთელს საბჭოთა კავშირში. მილიონზე მეტმა ექსკურსანტმა ნახა იგი. მათ შორის იყვნენ მოსკოველი და ლენინგრადელი პროფესორები, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პოეტები მიკოლა ბაჟანი და გიორგი ლეონიძე. სათაფლია ბუნების ულამაზეს ძეგლად იქნა აღიარებული.

ერთი ცნობილი ქართველი მოღვაწე, რომელსაც ძალა უკარგავდა თეთრაძეობისა და სათაფლიის აღმოჩენა, ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციის მაძიებელ თუძაკა, ღვაწლმოსილ ჟურნალისტსა და მწერალს პეტრე ბასტურიძეს, პეტრე ჭაბუკიანის ჭეშმარიტ ფარსა და ზურგს, გულკეთილად უსაყვედურებდა:

— რა გაგიხდათ ეს ძეტრე ჭაბუკიანი, რა გაგაკეთა, რა იპოვნა ასეთი?

— როგორ, სათაფლიის აღმოჩენა ეოტაა? — ვერ მოითმენდა ხოლმე პეტრე ბასტურიძე და ძალაცრად მუდლვებოდა მას.

—თეთრამიწაში რომ ქვის სასის ადამიანთა საფლომი და ნარიალები აღმოაჩინა? — ახლა ნიკა აგიგავილი წამოიშველებოდა პეტრეს. იმ ხანებში ისიც ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაში მოღვაწეობდა და ბატონს სცემდა ჭაბუკიანს, როგორც საკართველოს ბუნებისა, მისი ძეგლების დაკეცხრომელ და უანგარო მოამაგეს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც აქტიურად დაუჭირა მხარი და ზორს გაიტანა პეტრე ჭაბუკიანის მიერ დინოზავრების ნაკვალევის აღმოჩენის ამბავი, ეს იყო იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი, გეოლოგი, აკადემიკოსი გიორგი მოწენიძე. ამ აღმოჩენამდე ისტორიულ გეოლოგიაში გაბატონებული იყო თეორია, რომ თითქოს კავკასია ახალი ხმელეთია და რომ მთელი ეს ტერიტორია იმ შორეულ პერიოდში მთლიანად ოკეანით ბუ ზღვით იყო დაფარული.

— ამიტომ აქ, კავკასიაში, დინოზავრების არავითარი ნაკვალევი არ არის და არც შეიძლება იყოს, — ამტკიცებდნენ ამ თეორიის მომხრენი.

და აი ახლა ჭაბუკიანის მიერ აღმოჩენილმა დინოზავრების ნაკვალევმა ძირი გამოუთხარა ამ თეორიას და დაამხვრია იგი. არსებითად ეს იყო გადატრიალება ისტორიულ გეოლოგიაში: დინოზავრია ნაკვალევის აღმოჩენამ სათაფლიის ბორაზე საეციალისტებს დიდი ინტერესი გაუღვიძა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ იგი ოფიციალურად აღიარა.

ამ დიდი და საინტერესო აღმოჩენიდან ორმოცე წელზე მეტი გავიდა. და აი სამოციან წლებში დინოზავრების ნაკვალევს წააწყდნენ ტაჯიკეთის რესპუბლიკაში — რავატში. ეს მეორე ასეთი აღმოჩენაა საბჭოთა კავშირში. რავატის დინოზავრთა ნაკეტრფალმა კვლავ აალაპარაკა ხალეციალისტები, რომელთაც ჯერ კიდევ არ ეიოდნენ, რომ სულ მალე მესამე აღმოჩენის მოწმენიც გახდებოდნენ, და ისიც კვლავ საქართველოში!

შარშან ჟურნალმა „ნაუკა ი ჟიზნმა" მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ლესნოვის წერილი „ისევ დინოზავრთა ნაკვალევები". ავტორმა ბეითხვალს ამბანო ახალი ამბავი, რომ ჩვენ საქართველოში, ამჯერად წითელწყაროში, ადგილობრივ მხარეთმცოდნეთთან ი. მინთაშაშვილთან ერთად აღმოაჩინა დინოზავრთა მრავალრიცხოვანი ნატრეფალები.

ეს უაღრესად საინტერესო და ბევრის მთქმელი აღმოჩენაა.

წლეულს 50 წელი შესრულდა სათაფლიის ვკრაბის აღმოჩენიდან. დღეს სათაფლია ის როდია, რაც ამ ხუთი ათეული წლის წინათ იყო. ბუნების ამ ხელთუქმნელ ძეგლთან როგორც ქუთაისიდან. ისე წყალტუბოდან მოასფალტებული გზით შეგიძლიათ მიხვიდეთ. გვერდას მოსჩრხეული, შესასვლელი გაკეთდა. მღვიმის თითქმის ერთი ზესამეული ელექტროშუქით არის გაჩირაღდნებული. ტურისტთა მოზღვავების პერიოდში, რაც აპრილიდან ნოემბრამდე გრძელდება, სათაფლიის ავორაბებს 65-70 ათასი დამთვალიერებელი ჰყავს.

შარშან, აგვისტოში, პეტრე ჭაბუკიანს დაბადების 85 წელი შესრულდა. სწორედ ამ საიუბილეო თარიღის წინა დღეებში ვინახულეთ ჩვენი ბუნების ეს მხეცოანი და ღვაწლმოსილი ქომაგი და მასთან ერთად მოგინახულეთ სათაფლიის ძეგლთა კომპლექსი. მას თან ახლდა ახლო მეგობარი, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, მწერალი და მკვლევარი მიხეილ ალავიძე, ორივე უქმერეინის ეროსზე, ბაგრატის დიდებული ტაძრის მახლობლად დამკვიდრებულა: პეტრე ჭაბუკიანი — წყაროს ჭუჭაზე, მიხეილ ალავიძე კი იქვე მასლობლად, ყაზბეგის ქუჩაზე.

პირველად ბაგრატის ტაძარი და მისი შემოგარენი დავათვალიერეთ. უკიმერეინის მიიდან ახალ ჭუთაისს, შავ ზღვამდე ფართოდ გადაშლილი კოლხეთის დაბლობს გადმოვსცქერეთ. შორიდან შეგვიერთ თვალი ჯვაკასონის თოვლიან მწვერვალებს. და როგორღაც გვიხარდა. გვეგმაგიზოდა, რომ „ამ ერთი ციდა" მიწაზე ამდენი საოცრებაა ერთად თავმოყრილი: ბაგრატის ტაძარი, თეთრამიწა, სათაფლია, ბესიკის გორა, გელათი,

(დასასრული 3-ე გვ.)

ევროპის ეროვანი

ჰელსინკის თათბირის შემდეგ

ეკონომიურად აყალიბდა რა საშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის აზრისა და მნიშვნელობის საბჭოთა გაგებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ჩვენი შეხედულებით თათბირის შეჯამებული შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება სულ უფრო შეტად ივსება კონკრეტული მატერიალური შინაარსით. სწორედ დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია არის საქმის არსი, ყოველივე იმის არსი, რასაც მშვიდობა ევროპაში ნამდვილად მტკიცე და ურყევი უნდა გახადოს".

„დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია" ფრიად ტევადი, მრავალფაზიანი ცნებაა, რომელიც რეგიონალური უშიშროებისა და თანამშრომლობის ფართო პრობლემების გადაწყვეტის კონსტრუქციული ფორმების, საშუალებებისა და მეთოდების შიელ ერთობლიობას მოიცავს.

დასკვნითი აქტის — თანამედროვეობის შესანიშნავი საერთაშორისო დოკუმენტის და უშინარს ყოველსა მშვიდობიანი თანაარსებობის იმ ათი პრინციპის ქმედითობა, რომელიც მის სულსა და გულს შეადგენენ, პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად და თანმიმდევრულად განხორციელდება იგი სასელწმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში.

თათბირის ერთ-ერთი არსებითი შედეგი ის არის, რომ სახელმწიფოთა მოქმედების შეთანხმებული საერთო პლატფორმა მათი რეალურის სამართლებრივ ფორმებთან ორგანულად არის დაკავშირებული. ამ დარგში „დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციამ" ხორცი უნდა შეისხას ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ერთიან სისტემაში. ცხადია, — და ამას საჭიროა ხაზი გაესვას, — რომ დასკვნითი აქტის მიზნებსა და ამოცანებს ყველაზე მეტად შეესაბამებიან მრავალმხრივი შეთანხმებანი. უშინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი, შესაძლებელს ხდიან, მეტად თუ ნაკლებად გაგითვალისწინოთ ძველი სანყარო რეგიონალური, ერა-ვნული, ეკონომიური და სხვა თავისებურებათა მთელი მრავალსახეობა.

ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ მრავალმხრივი ხელშეკრულებებისაკენ ჯერ ხშირად ორმხრივ შეთანხმებებზე გადის. ამას უეჭველად მჭერმეტყველურად მოწმობს თვით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატება, რომელსაც დასაწყისი მისცა მთელმა რიგმა ორმხრივმა შეთანხმებებმა — სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის, სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის..

თანხმად დასკვნითი აქტისა თანამშრომლობა ვაჭრობის, ეკონომიკის, მეცნიერების და ტექნიკის, კულტურისა და ინფორმაციის დარგში, შეიძლება ვითარდებოდეს და ხორციელდებოდეს სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე.

ტრადიციულად საგარეო ურთიერთობის სახელმწიფო ორგანოებად ვამოდიან: სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროები, საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის უწყებები (კომიტეტები) სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც დაწესებულია საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, საელჩოები არსებობს იმის ტენდენცია, რომ საგარეო ურთიერთობის განხორციელების უფლება უსაღოეს პერიოდში მიენიჭოთ ყოველგვარი მართვის სახელმწიფო ორგანოებს — მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, საბაჟო და საზღვარ ფლოტის, კულტურის და ა. შ. სამინისტროებსა და უწყებებს.

წარმოებაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში ინტეგრაციის პროცესების გაფართოებითა და გაღრმავებით წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ დაწესდეს უშუალო სახელშეკრულებო კავშირურთიერთობა როგორც სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს, ისე საწარმოებს, ფირმებს, ბანკებს, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციებს შორის.

სინამდვილემ უარყო მთელ რიგ დასავლეთელ მეცნიერთა მტკიცებანი იმის შესახებ, რომ საგარეო ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწიფოებრივი რეგულირება ეკონომიური ურთიერთდასმაბრის საბჭოს ქვეყნებში თითქოს გამორიცხავს წარმოების საერთაშორისო კოოპერაციის შესაძლებლობას არასამთავრობო დონეზე, იმ ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლებიც იდება სამეურნეო და კვლევით ორგანიზაციებს შორის. პრაქტიკაში ასეთ ხელშეკრულებათა რიცხვი განუხრელად იზრდება.

მთელი გარეგნული მსგავსების მიუხედავად, რომელ

სათაფლიის საოცრებანი

(დასასრული).

მოწამეთი, გეგუთი, რომელთაც დიდებულად ეშენებოდა და ეხამება ახალი ქუთაისის ინდუსტრიული პანორამა, რიონის ჰიდროელექტროსადგურთა გიგანტური კასკადი.

და აქვეა მათი ტრფიალი პეტრე ჭაბუკიანი. ეს სანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი, საშუალო ტანის, მაგარი აგებულობისა და სანდომიანი შესახედაობის ადამიანი, სახეს რომ თოვლივით თეთრი თმა და კეთილი ღიმილი უშშვენებს, ქუთაისელთა ნამდვილი სათაყვანო ჯერია. მას შემდეგ რაც 1916 წელს წარჩინებით დამთავრა იურიფენი, ახლანდელი ტარტუს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიული განსრით, იგი ქუთაისში მოღვაწეობს და ბუნების ძეგლთა დაცვის საქმეს უანგაროდ ემსახურება. სწორედ ამიტომ უყვართ ქუთაისელებს პეტრე და ალესებენ მას. მათ იტაცებთ ამ უბერებელი კაცის ჭაბუკური ენთუზიაზმი, საქვეყნო ხაქმისადმი მისი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება.

მალე გავდით ქუთაისის გარეუბანს — ოღასკურას, სოფელ ბანჯას ჩავუქროლეთ და, აჰა, ესეც შენი სათაფლია. ტყეში, შემაღლებულზე, აღმინისტრაციული სახლია წამოჭიმული. აქედან გვირაბის პირამდე კარგი მისასვლელი გზა გაუკეთებიათ. გვირაბის წინ, ერეკლე სკამეიკი ეკურკურსანტები თუ ტურისტები ჩამომსხდარან და კოლუური ტყის ჩრდილში ნებივრობენ.

პეტრე ჩვენს ჯგუფს გვირაბში შეუძღვა. ზემოდან ელექტროლამპიონები გვინათებს გზას. ჩვენი მეზური ალაგ-ალაგ ჩერდება და დამთვალიერებელთა ყურადღებას ამახვილებს გვირაბის ულამაზეს ადგილებზე.

— სათაფლია ბუნების ნამდვილი საოცრებაა, — განმარტავს პეტრე. — იგი რამდენიმე გვირაბისაგან შედგება, რომელთა საერთო სიგრძე ექვსასი მეტრია. აქედან მხოლოდ ერთი მესამედია ჯერჯერობით კეთილმოწყობილი და ელექტროშუქით განათებული.

ბოლოს ერთ ფართოდ გაშლილ ადგილზე გავდივართ. რაღაც პატარა მოედნის მსგავსია. ყველაზე დაუკიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ადგილი ქვასალეკი თავისი უცნაური სტალაგმიტებითა და სტალაქტიტებით. აქა-იქ ხის ჯრქილი სკამები დაუდგამთ, რომ დამთვალიერებლები ჩამოსხდნენ და მუხლი შეასვენონ.

— სათაფლიის გვირაბი მარტო დამთვალიერებლებს როდი იზიდავს. — ტიბილმუბრობს პეტრე, — აი აქ, ამ სკამებზე, სადაც ახლა თქვენ ისვენებთ, ხშირად სხედან ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანები. ისინი ერთ-ორი საათით რჩებიან გვირაბში, ამბობენ ჰიპერტონიას კურნავსო.

სანამ თბილისში დავბრუნდებოდი, არ მასვენებდა კითხვა: სიმართლეა თუ არა ეს ყოველივე? ამ კითხვაზე აი რა უპასუხა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა გ. უშვერიძემ:

— საერთოდ სპელეოთერაპია, რომელიც ძირითადად ბრონქეული ასთმისა და ჰიპერტონიის მკურნალობით შემოფარგლება, ცდის პერიოდშია. შედეგები კეთილსაიმედოა, მაგრამ ამაზე წერა ჯერ საადრეოა. ამ თვალსაზრისით შესწავლილია ახალი ათონის, სათაფლიის გვირაბები და წყალტუბოს „თეთრი მღვიმე". წყალტუბოში უკვე შექმნილია პირობები ჰიპერტონიით დაავადებულთა სამკურნალოდ. ავადყოფები, რომელთაც კვალიფიციური ექიმები მკურნალობენ, ემაყოფილი არიან შედეგებით.

ასეთია პროფესორის ფრთხილი დასკვნები. ასე, რომ პეტრე ჭაბუკიანის სიტყვები ტყუილი როდი გამოდგა. და თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ სათაფლიამ მას ახალი ძალღონე შემატა, იგი შეუსვენებლად მიგვიძღვოდა წინ მიწისქვეშა დარბაზების ბილიკებზე. ჩვენი ჭარმაგი მეგზური ვერც ლოდიდან ლოდზე ხტომაზე დაღალა, ვერც ვიწრო ბილიკებზე აღმა-დაღმა სიარულმა, და როგორც კი გვირაბიდან გამოვიდით, ჭაბუკური სიხალასით წაგვიძღვა დინოზავრების ნაკვალევისაკენ, თან იმაზე ვიბაასებოდა, თუ რომელმა ადამიანმა როდის დაათვალიერა სათაფლია და როგორი შთაბეჭდილებებით წავიდა.

გზადაგზა ჭაბიელ საუბარში დინოზავრების ნაკვალევთანაც მივედით. დიდი ხნის წინათ გადაშენებულ გიგანტურ ცხოველთა ნატერფალის გაქვავებული ანაბეჭდები ალმოჩენილია სათაფლიის გორის დასავლეთ ფერდობზე, საავტომობილო გზიდან სულ 20-30 მეტრის მოშორებით.

— აბა, კარგად დაკვირდით ამ სამთითა ნატერფალებს, — მიმართა პეტრემ დამთვალიერებლებს, როცა ყველამ მის გარშემო მოიყარა თავი, — სათაფლიაში სამასზე მეტი ასეთი ანაბეჭდია შემორჩენილი. ეს ანაბეჭდები მოწმობს, რომ აქ დინოზავრთა მრავალრიცხოვანი ჯოგები მკვიდრობდნენ. ამ გოლიათი ცხოველების ნატერფალთა ასაკი, რომლებიც მეზოზური ერის ქვედა ცარცის პერიოდში ცხოვრობდნენ. სულ ცოტა 120 მილიონი წლით განისაზღვრება. ამ ისტორიამდელი ცხოველების ზოგიერთი სახეობის სიგრძე 25 მეტრს აღწევდა. სათაფლიის დინოზავრები, როგორც ჩანს, უფრო მომცრო ტანისანი იყვნენ: სიგრძე — 9-10 მეტრი, სიმაღლე კი — 4,5 მეტრი. აღმოჩენილია სამ სართულად განლაგებული გაქვავებულ ნატერფალთა ანაბეჭდები. ზედა პირველი ორი სართულის ნატერფალები მეცნარეულობის მჭამელ დინოზავრებს ეკუთვნით, ქვედა მესამე, სართულისა კი — მტაცებელ დინოზავრებს.

ყოველივე ამას ისე დაბეჯითებით მოგვითხრობს ჩვენი მეგზური, თითქოს დინოზავრთა მთელ ამბავს ამ უცნაურ ქვის წიგნში კითხულობსო.

მოშიშვლებულ, იატაკივით მოსწორებულ და გაქვავებულ ფერდობზე მწვი მთელი ძალით აცხუნებდა და ყველას თვალი იქვე ახლოს საამურად მოშრიალე ტყისაკენ გაურბოდა. რა სჯობდა ახლა გრილ ჩეროში წამოწოლას და დასვენებას. ეტყობა პეტრეც კარგად ხვდებოდა ამას, და, როცა საუბარს მორჩა, დამთვალიერებლებს ტყის ნაპირისაკენ გაუძღვა. იგი ერთი დიდი ხის ქვეშ შეჩერდა, დაიცადა, სანამ ყველანი ჯერ გაუთელავ მწვანე ბალახში მოირთხმელნენ ფეხს და შემდეგ თვითონაც იქვე მახლობლად დიდ თეთრ ქვაზე ჩამოჯდა.

— მეგობრებო! — მიმართა მწვანეზე ნებივრად ფეხმოკეცილ დამთვალიერებლებს, — გახსოვთ ამ გორას. თქვენს წინ 600 ჰექტარზე გადაჭიმულია სათაფლიის კოლუური ტიპის ტყე. ორმოციოდე წლის წინათ, როცა სათაფლია სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა, ამ არე-მარეში აქა-იქ თუ იდგა ხე. ზოგიერთი მაშინ იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ამ მოტელეკილ გორაზე არასოდეს არ ყოფილა მეცნარეულობა და არც მომავალში იქნებაო. ახლა კი, ხომ ხედავთ, რა ნესანიშნავი ტყეა, სათაფლიის ტყეში 600-ზე მეტი სახეობის მცენარეა. ყველაზე მეტია წიფელა. არის აგრეთვე მუხა — იმერული და კოლუური. ტყეში ბევრი ნადირი ბინადრობს. მომრავლდა სხვადასხვა ფრინველიც. ტყის მდელოებზე ათასგვარი ყვავილი ასარებს თვალს.

ყველა მოხიბლა და დაატყვევა ნოხტვის გულშიჩამწვდომმა საუბარმა. იგრძნობოდა ცოდნა, სიყვარული, მოწოდება.

მაგრამ პეტრე ჭაბუკიანის სიტყვებში იყო მხილებაც და იმის დიდი სურვილიც, რომ სათაფლია გახდეს კიდევ უფრო მშვენიერი და საამაყო.

აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა საუკეთესოდ მოემსახურონ დამთვალიერებელთა, ექსკურსანტებისა და ტურისტების ყველწლიურად მზარდ ნაკადს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა დამთავრდეს გვირაბების კეთილმოწყობა და მთლიანი ელექტროფიკაცია. მოზღვავებულ დამთვალიერებელთა განუსაზღვრელი ოდენობით მიღებას უზრუნველყოფს სამხრეთის მხრიდან მეორე შესასვლელის გაკეთება. ეს იმითაც არის ნაკარნახევი, რომ აქედან დამთვალიერებელთა თვალწინ გადაიშლება ქუთაისისა და მისი შემოგარენის დიდებული პანორამა.

მეცნიერებათა აკადემიამ დინოზავრთა ნაკვალევის შესწავლის მიზნით დიდი ხნის წინათ სათაფლიაში აწარმოვა გათხრები. 800 კვადრატულ მეტრზე ნიადაგი მოშიშვლებულია და ნატერფალები მოჩანს. ამის გამო ეს საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: წვიმა, თოვლი, ქარი შლის და სპობს ნაკვალევს. შეიძლება იგი დაკარგოს მეცნიერებისათვის.

პეტრე ჭაბუკიანმა გვითხრა, რომ 1966 წელს დინოზავრთა ნაფეხურების გადასარჩენად შეიმუშავეს რკინაბეტონის საფარის პროექტი. სათანადო საშენებლო ტრესტს მისი დამზადება კი დაევალა. მაგრამ საქმე პროექტის შედგენისა და დავალების მიცემის იქით არ წასულა.

ახლა კი... ახლა პეტრე ჭაბუკიანი, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველა პატიოსანი მშრომელი ადამიანი, დიდი იმედით და ჭაბუკური ენთუზიაზმით არის აღსავსე.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობამ ამ ბოლო ხანებში ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმის და ექვი არ არის, რომ სათაფლიის აღორძინების საკითხი უახლოეს ხანში წარმატებით გადაიჭრება. ჩვენი ეალია სანიმუშოდ გვქონდეს მოვლილი და დაცული ბუნების ეს საოცარი ქმნილება.

ამ ექვსი წლის წინათ, შემოდგომაზე, ქუთაისის საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა პეტრე ჭაბუკიანის დაბადების 80 წლისთავი. და გვინდა ეს წერილიც ჩვენი ბუნების დიდებულ მოამაგეზე დავამთავროთ ამ საიუბილეო სალამოზე მწერლისა და ჟურნალისტის ნიკა აგიაშვილის მიერ წარმოთქმული გულთბილი სიტყვებით:

— ჩვენო უფროსო ძმაო და საყვარელო ადამიანო! სულითა და გულით გილოცავთ ამ ბიდნიერ დღეს, ოთხმოცი წლის უბერებელო, მარად ჭაბუკო ჭაბუკიანო! დაე, მუდამ და მარადის უკვდავი იყოს თქვენი ღვაწლი, საქმე და სახელი ყველგან ჩვენს დიდებულ საქართველოში. ნუმც დაელეოს ჩვენს ქვეყანას თქვენებრ დამამშვენებელი და მასახელებელი შვილები. კვლავ დიდხანს აჩნდეს თქვენი დაუცხრომელი საქმიანობის ელვარე კვალი ჩვენს საყვარელ მიწა-წყალს, ისე ვით ნაფეხური დინოზავრებისა.

ვლ. შავგულიძე.

„კომუნისტის" ინტერვიუ

სტუმრად საქართველოში

გვეწვივნენ უცხოელი ბოტანიკოსები

როგორც ცნობილია, ლენინგრადში გაიმართა ბოტანიკოსთა მე-12 საერთაშორისო კონგრესი. მას მუშაობაში ხუთი ათასამდე მეცნიერი მონაწილეობდა, აქედან სამი ათასამდე უცხოელი სპეციალისტი იყო. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო აშშ-ის, ინგლისის, კანადის, საფრანგეთის, იაპონიის დელეგაციები.

ძირითადი საკითხი, რომელიც კონგრესმა განიხილა, იყო „ბუნების დაცვა და მისი რესურსების მიზანშეწონილი გამოყენება". კონგრესზე დასახა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბუნების ძირითადი კომპონენტების შენარჩუნებას იმ ოპტიმალური რაოდენობით, რაც დაკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებას. ერთხმულოვნად აღინიშნა, რომ მხოლოდ ერთა შორის ძმობა და მეგობრობაა ის გზა, რომელიც შეძლებს გადაჭრას ეს უდიდესი პრობლემა.

კონგრესის დამთავრების შემდეგ უცხოელი მეცნიერები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეს ეწვივნენ. საქართველოს მეცნარეულობის გასაცნობად ჩვენს რესპუბლიკაში ორასამდე ბოტანიკოსი ჩამოვიდა. თბილისში უცხოელი სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, რომელმაც სტუმრებს გააცნო ბოტანიკური მეცნიერების მდგომარეობა წარსულში და ამჟამად. სტუმრებმა დაათვალიერეს ინსტიტუტის ლაბორატორიები, ჰერბარიუმი, ბოტანიკური ბაღი, შემდეგ კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ეწვივნენ.

როგორი იყო უცხოელ მეცნიერთა მოგზაურობის მარშრუტები საქართველოში და რა მიზანს ისახავდა იგი? ამ საკითხების ირგვლივ გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრა აკადემიკოსი **ნიკო კეცხოველი.** აი რა თქვა მან:

— თბილისში ჩამოსული სტუმრები გაერთიანდნენ ორ სამეცნიერო ექსპედიციაში — ყაზბეგისა და ლაგოდეხის მიმართულებით.

ყაზბეგის ექსპედიციაში თექვსმეტი ქვეყნის 50 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, კონგრესის ვიცეპრეზიდენტი როლინსი და შეტლერი (აშშ), ვალტერსი (ინგლისი) ჟიგონნი (შეიცარია) და სხვები.

მეცნიერები გაეცნენ საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით არსებულ ფიტოლანდშაფტებს და ვერტიკალური სარტყელიანობის ზოგად კანონზომიერებებს. ყაზბეგში სტუმრები ეწვივნენ თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის მაღალმთიან სტაციონარს და საკმაოდ დეტალურად გაეცნენ აქ წარმოებულ ეკოლოგიურ დაკვირვებებს. დიდი მთამბეჭდილება მოახდინა. მათზე სუბალპური სარტყლისათვის შედარებით უჩვეულო ქსეროფილური მეცნარეულობის ხასიათ სოფელ ფანშეთის მიდამოებში, მყინვარმა გერგეტმა. ექსკურსიის მონაწილეებს საშუალება მიეცათ საკმაოდ კარგად გასცნობოდნენ როგორც სუბალპური, ისე ალპურ და სუბნივალურ სარტყლებს. ისინი ეწვივნენ აგრეთვე კლდოვან ქედს, სადაც გაეცნენ კარქეალი (ცნობილი სპეციალისტი) და სხვა.

საველეო ექსკურსიის მონაწილეთა ძირითად კონტიგენტს შეადგენდნენ ფლორისტები, ბოტანიკოს-გეოგრაფები და სამეცნიერო მეცნარეების ცნობილი სპეციალისტები. აგრეთვე ბოტანიკური მეცნიერების სხვა დარგების სპეციალისტებიც.

სტუმრებმა ამოგზაურეს შემდეგი მარშრუტით: თბილისი-ლაგოდეხი-ყვარელი-თელავი-შუამთა-წინანდალი-თბილისი. ამ მარშრუტით მგზავრობამ უცხოელ კოლეგებს საშუალება მისცა საერთო წარმოდგენა ჰქონოდათ ბუნებრივ და გარეკანთეთის მეცნარეულობაზე.

ლაგოდეხის ნაკრძალში საში ექსკურსია მოეწყო. ერთი მათგანი მთის ხეობის ხელუხლებელ, ენდემური სახეობებით მდიდარ შერეულ-ფოთლოვან ტყეში, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან აღნიშნული სახეობები ევროპაში უკვე არსად გვხვდება, თუ არას ვიტყვით ბალკანეთზე არსებულ პატარა ნაკვეთებზე.

მაღალმთის ფლორისა და მცენარეულობის სპეციალისტების ერთი ჯგუფი კი ფეხით ავიდა სუბალპური მდელოებისა და შიხერი ტყეების სარტყელში.

თბილისში დაბრუნების მეორე დღეს მოეწყო ექსკურსია ავტობუსებით სამხედრო გზაზე ჯვრის ზეკარამდე, სადაც უცხოელი ბოტანიკოსები გაეცნენ კავკასიის სუბალპური მდელოების ფლორის ზოგიერთ თავისებურებას.

ექსკურსიების დროს განიხილებოდა სხვადასხვა მეცნიერული საკითხი, რომლებიც ეხებოდა კავკასიის ფლორასა და მცენარეულობას, დასავლეთ ევროპის მთებს, ხმელთაშუაზღვეთს და სხვ.

ექსკურსიამ უცხოელ ბოტანიკოსებს საშუალება მისცა გასცნობოდნენ საქართველოში მიმდინარე ბოტანიკურ სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების ძირითად მიმართულებებს; დაეკვალთებინათ და შეედარებინათ კავკასიონის, კერძოდ, ყაზბეგისა და ლაგოდეხის მიდამოების მეცნარეულობის გავრცელების კანონზომიერებები სხვა მაღალმთიანი ქვეყნის კანონზომიერებებთან; შეეგროვებინათ შესადარებელი მასალა კავკასიისა და სხვა ქვეყნების ზოგიერთი გვარის ტაქსონომიისა და ხომენკლატურის დასაზუსტებლად. საქართველოს ბოტანიკოსებს საშუალება მიეცათ მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინათ მთელ რიგ გამოჩენილ უცხოელ მკვლევარებთან სპეციალური ლიტერატურისა და მასალის გაცვლის საშუალებით,

დაისვა მაღალმთის მცენარეთა ეკოლოგიისა საერთო თემების დამუშავების საკითხი.

ბეჯითნი

ამას ჩვენს თანამემამულეზე წერენ

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). თამაკონის მკვიდრმა აბესალომ ფარცვანიამ სამხედრო სავალდებულო სამსახურში თავიდანვე მიიქცია მეთაურთა ყურადღება. საქმისმოყვარული, ცოდნის მიღებით დაინტერესებული ახალგაზრდა ტექნიკური და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი გახდა. მისი მშობლების დიდი სიხარული გამოიწვია არმიიდან გამოგზავნილმა მადლობის წერილებმა, სადაც ლაპარაკია ქართველი ჭაბუკის ბეჯითობაზე.

ჯოლევერმა ეთერ და დავით კაკუბერიებმა დიდად გაიხარეს როცა არმიაში მყოფი შვილის — ოღლუნის შემქმები წერილები მიიღეს. ამ ახალგაზრდებმა გამზრდელი მშობლები, თავიანთი სოფელი ასახელეს.

შემოხვევა **ტალღებს გამოსტაცეს**

ქალიშვილი მტკვრის სანაპიროს მიჰყვებოდა. ქალაქ თბილისის სილამაზით გატაცებული ხიდთან შეჩერდა — მზერა მეტეხის ციხემ, ბორგასლის ძეგლმა და კლდეზე გადმოკიდებულმა სახლებმა მოსტაცეს. შემდეგ დიდხანს დაჰყურებდა წყალს და... აღმათ თვალები აუბრელდა, შებარბაცდა, თავი ვერ შეიკავა და მდინარეში გადავარდა.

გაღმა ნაპირიდან კივილი გაისმა:

— უშველეთ, ადამიანი იხრჩობა!

შემთხვევის ადგილზე პირველი გაჩნდა შინაგან საქმეთა კიროვის რაიგანყოფილების უფროსი უბნის ინსპექტორი, მილიციის მაიორი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, რომელიც ცურვით მიჰყვა განწირულს. მალე გამკელი მგზავრებიც გამოჩნდნენ, რომელთაგან ორი — თბილისელი ჯუმალ ბაკურაძე და სიღნაღელი ფრიდონ სპასდერაშვილი დაუყოვნებლივ გადაეშვნენ მდინარეში, მხარში ამოუდგნენ უბნის ინსპექტორს და ტალღებს გამოსტაცეს გონწასული ი. შ.

გოგონას პირველი სამედიცინო დახმარება ალმოუჩინეს და შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანით ქალაქის პირველ საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც იგი რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად ჯანმრთელი გამოწერეს.

გ. გვაძაბია.



ქობულეთი. ფლვის სანაპირო

ვ. ბაბაიანის ფოტო.

წიგნის თარო

აჯიმუშაკის კატაკომბებში. დოკუმენტების, მოგონებების, სტატიებიანი, მხატვრული ნაწარმოებების კრებული რუსულ ენაზე (მე-3 გამოცემა). კრებულში ეკრძოდ დაბეჭდილია პოეტ ჯანსუღ ნარკვეანის ლექსი „ქვები" (თარგმანი მ. სინელნიკოვისა), რომელიც ეძღვნება აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში დაღუპულ გმირებს. შემდგენელი ბ. სერმანი. გამომცემლობა „ტვრია", სომფეროროლი. გვ. 238.

ოლლა ფულაია-ქვიბიელი — მცირე მიწის გმირი დამცველები. წიგნი ეძღვნება ნოეოროსიისკის გმირ ქართველ დამცველებს. რედაქტორი ზ. მოლაშხია, მხატვარი ტ. შეყილაძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". გვ. 104.

აჩჩილ მამიასაშვილი — ტყვეები აღმოსავლეთიხაკენ მიდიან. წიგნი ფრონტელი ეურნალისტის მოგონებებისა და დოკუმენტური ნარკვევების კრებულია, სადაც გადმოცემულია ავტორის მიერ საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი ამბები. რედაქტორი მ. ცხოვრებოვა, მხატვარი ს. ძერანოვი. გამომცემლობა „ირისთონი" (ქ. ცხინვალი). გვ. 126.

ლურმიშხან გრიგოლაშვილი — არჩევანი. მოთხრობა. რედაქტორი მ. ჯორდოსანიძე. მხატვარი გ. ფოცხიშვილი საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობა. გვ. 78.

მკითხველები გვწერენ

შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად

ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრიდან სამშობლოს დასაცავად 245 ვაჟკაცი გაემგზავრა. აქედან 114 შინ ვერ დაბრუნდა. სოფელს ახსოვს კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი ბ. სარჩიმელია, ბრიგადირი ტ. ქირია, კოლმეურნეები: გ. ქირია, ხ. გარდავა, შ. დიდიშვილი, პედაგოგი ჯ. ჩილაჩავა და სხვები.

მათი სახელების უკვდავსაყოფად შინმოუსვლელთა ხსოვნაში აღიმართა ობელისკი, რომელსაც დიდძალი დამთვალიერებელი ჰყავს.

ობელისკის მშენებლობაში კოლმეურნეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ შინმოუსვლელთა ახლობლები.

შ. კინწურაშვილი.

კარგი ტრადიცია

ოზი. აქ ტრადიციად დამკვიდრდა ექიმთა ბრიგადების მაღალმთიან, რაიონული ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში გასვლა. ერთი ასეთი ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, ქირურგი ბ. ჩაჩავილი, გინეკოლოგი დ. ლობანაძე, პედიატრი ე. ქებაძე და ნევროპათოლოგი გ. მაჩაიძე, სოფელ ხირხონისს ეწვია და კოლმეურნეებს კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება გაუწია.

ვ. ციბრამეა.

ბენო გორდეზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, პენსიონერი ბენო პავლეს-ძე გორდეზიანი. იგი დაიბადა 1894 წელს ონის რაიონის სოფელ საკაოში. თბილისის ხემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა პარტგამომცემლობასთან არსებული წიგნის გაფორმების უმაღლესი კურსები ლენინგრადში.

1922 წლიდან ბ. გორდეზიანი მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობაში ჯერ საქმეთა მმართველად, ხოლო შემდეგ — მხატვარ-რედაქტორად, მთავარ მხატვრად, სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგედ. 1947 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ქართული შრიფტის უქსპერიმენტულ ლაბორატორიას, არჩეული იყო მისივე თაოსნობით შექმნილი ქართული შრიფტის კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად. მის სახელს უკავშირდება ქართული სამრიფტო მეურნეობის შემდგომი განვითარება. მან შექმნა მრავალი ახალი სახეობის შრიფტი, რომელთაგან „მკაფიოს", „გორდეზიანს" და სხვას საერთო აღიარება ხვდა წილად და დღეს ფართოდ არის გამოყენებული ჩვენს პოლიგრაფიაში. იგი ავტორია მრავალი თეატრიული ნაშრომისა, (ცნობარი ა. ბ. „ქართული სხვადასხვა შრიფტი", „ქართული სასტამბო შრიფტები", „ქართული სასტამბო შრიფტების ცნობარი", „სასტამბო შრიფტები").

ბ. გორდეზიანი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. მისი წერილები, რეცენზიები სისტემატურად ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში. მან შექმნა საყურადღებო მონოგრაფიები „ნიკო ფიროსმანი", „გრიგოლ ტატიშვილი", სოლო მისი „იოსებ შარლემანი", „დავით ქუთათელაძე", „ქართული გრაფიკა" ითარგმნა და გამოიცა რუსულ ენაზე. საყოველთაო აღიარება ჰპოვა ჩვენი და საზღვარგარეთ მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევამ — „ზღაპი საქართველოში".

ბენო გორდეზიანის ნაყოფიერი მოღვაწეობა „საპატარა ნიმნის" ორ ლენინთა და მეედლებით აღინიშნა.

წყვიდა ჩვენგან ჩინებული სპეციალისტი, გულისხმიერი და უმწყალო მოკალაქე, ჭეშმარიტი პატრიოტი. ბ. გორდეზიანის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენი აღზრდილების, კოლეგების, ქართული წიგნის ყველა მეგობრის გულში.

საქართველოს სსრ ენინსტრთა საბჭოს გამომცემლობა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის, საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი.

მეათე ტურიმ ჭადრაკი

ნარეკვეტები იყო ვილნიუსის ზონალური ტურნირის ლიდერებისათვის მეათე ტური. ორმა მთავარმა წაადო შეხვედრები, ხოლო დანარჩენები ყაიმს დასჯერდნენ.

ვასიუკოვი დამარცხდა ხოლმოვთან, ხოლო ცეშკოვსკი — ბოლო ადგილზე მყოფ რომანიშინთან.

ყაიმით დამთავრდა ტაიმანოვ-გულკოს, ალბურტ-ტუმკაევის, ბელიავსკი-ლეონოვის შეხვედრები. სავოშა გადადო პარტია გრიგორიანთან.

ტურნირის ახლა ექვს-ექვსი ქულით ლიდერობენ გულკო, ვასიუკოვი (9 პარტიის შემდეგ), ვასიუკოვი და ტაიმანოვი (10 პარტიის შემდეგ).

ფეხბურთი

ფრე კრასნოდარში

გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 25-ე ტურის მატჩები.

ქუთაისის „ტორპედო" ასპარეზობდა კრასნოდარში ადგილობრივ „ყუბანთან", რომელთანაც მოგებული ჰქონდა პირველ წრეში ანგარიშით 2:1. ამჯერად 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

აი დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „სპარტაკი" ნალჩ.-„სპარტაკი" ორჯ. — 3:0; „ნისტრუ"-„პამირი" — 1:0; „სპარტაკი" ი.-ფ.-„ნეფტჩი" — 2:1; „ტავრია"-„ალგა" — 4:1; „მეტალისტი"-„კაირატი" — 0:0; „ზენიტ"-„მინიკი" — 3:3; „რუბინი"-„კრილია სოვეტოვი" — 2:2; „ურალმაში"-„მეტალურგი" — 2:3; „კუზბასი"-„დინამო" მნ. — 1:3.

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ლიგა
მდგომარეობა 21 აგვისტოსათვის, 25 ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მნ.	13	7	5	35-18	33
„პრ. სოვეტ."	13	6	6	45-25	32
„ტავრია"	13	6	6	42-26	32
„ნისტრუ"	12	7	6	30-29	31
„ტორპედო"	10	10	5	31-20	30
„კაირატი"	12	5	8	35-24	29
„ნეფტჩი"	10	8	7	31-24	28
„სპარტ." ი.ფ.	11	6	8	34-28	28
„მეტალურგი"	8	9	8	31-26	25
„მინიკი"	7	11	7	27-25	25
„სპარტ." ო.	9	7	8	24-22	25
„კუზბასი"	9	5	10	25-30	23
„მეტალისტი"	7	9	9	18-25	23
„პამირი"	7	8	10	27-31	22
„ყუბანი"	6	9	9	23-25	21
„რუბინი"	6	9	9	21-36	21
„ზენიტ"	8	4	12	22-28	20
„სპარტ." ნ.	5	9	11	18-30	19
„ურალმაში"	8	2	14	26-38	18
„ალგა"	3	3	19	17-53	9

ა. კარპოვის ახალი სტარტი

მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა გუშინ გამოსვლა დაიწყო კიდევ ერთ დიდ შეჯიბრებაში — მილანში. ტურნირმა მიიზიდა როგორც ცნობილი ოსტატები, ისე ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეები. კარპოვთან ერთად პრიზისათვის იბრძვიან ტიგრან პეტროსიანი და მიხეილ ტალი, ვოლფგანგ უნციკერი (გფრ) და ლიაონ პორტიში (უნგრეთი), ბენტ ლარსენი (დანია), ლიუბომირ ლიუბოეევიჩი და სვეტოზარ გლიგორიჩი (ორივე — იუგოსლავია), ულფ ანდერსონი (შვეიცარია) და უოლტერ ბრაუნი (აშშ), სერჯიო მარიოტი (იტალია) და იან სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია).

ტურნირი უჩვეულო რეგლამენტით ტარდება. ჯერ ყველა მონაწილე ითამაშებს ერთ წრედ (თერთმეტი ტური), შემდეგ ოთხი საუკეთესო შეხვდება ოთხი პარტიისაგან შემდგარ მატჩებში ოლიმპიური სისტემით. ნახევარფინალებში გამარჯვებულნი პირველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკლედ სპორტული ამბები

კალათბურთი. საკონტინენტთაშორისო თასში გამარჯვებულმა — სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ ეჩინსბოროში ამ გათამაშების ბოლო მატჩი მოიგო აშშ-ის ნაკრებთან — 71:65 (38:39).

ჰავრანკი. იუგოსლავიაში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 19 წლის მოსკოველმა ოსტატმა ვალერი ჩეხოვმა ორი ყაიმის შემდეგ ორი გამარჯვება მოიპოვა და ახლა 3 ქულით ლიდერთა შორის იმყოფება. მასზე ნახევარი ქულით მეტი აქვთ პოლონელ ადამ კულიგოვსკის, კანადელ პიტერ ნურმის, შვედ გარი შუსლერსა და ჰოლანდიელ ვან დერ სტერენს. წინ კიდევ ცხრა ტურია.

ჩოგბურთი. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე დაიწყო წყვილთა ასპარეზობაც. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე წრეში ადვილად გავიდნენ ა. მეტრეველი — თ. კაკულიასა და ა. ვოლკოვ — ვ. კოროტკოვის დუეტები. ერთეულთა შეჯიბრებაში მ. კროშინმა მოუგო ს. კოროზუნს, ო. მოროზოვამ — ი. შევჩენკოს, ა. კაცენელსონმა — ბ. ლომპს, ვ. გრანატეროვამ — ჩეხოსლოვაკელ ჰ. ხიბლეროვას, ს. ლახჩოვამ — ბულგარელ ლ. პეტროვს. ვ. ეგოროვამა — მე